

ეროვნული ბანკის რეგულაციები (ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი
დაკრედიტების შესახებ) და მათი შედეგის ანალიზი

გიორგი ჯანელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

ხელმძღვანელი: საბა ჯაჯანიძე - ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ჯანელიძე

20.01.2021 წ

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი ადგილი საბანკო სისტემას უჭირავს. სწორედ გამართული საბანკო სისტემის ფუნქციონირება განაპირობებს ქვეყანაში ჯანსაღი და პროგრესირებადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას. თავის მხრივ, ჯანსაღი საბანკო სისტემის არსებობა, მეტწილად, ცენტრალური ბანკის რეგულაციებზეა დამოკიდებული. სწორედ ამას ემსახურება ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოც.

ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის ერთობლივად ინიცირებული ცვლილებები, რომლებიც დაკრედიტების წესებსა და კანონმდებლობაში შევიდა, მიზნად ისახავდა ქვეყანაში ისეთი არსებითი პრობლემის მოგვარებას, როგორიცაა ჭარბვალიანობა. ქვეყანა ჭარბვალიანობის წინაშე ნელ-ნელა, ეტაპობრივად აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ბოლო წლების განმავლობაში შინამეურნეოებზე დაკრედიტების ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამავდროულად, სესხის გაცემისას ფინანსური ორგანიზაციების უპასუხისმგებლო მიდგომამ ბევრი ადამიანი „კრედიტ ინფოს“ შავ სიაში მოათავსა. ამის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი კი საკუთარი მსესხებლების მიმართ კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არასწორი მიდგომა გახლდათ - კრედიტების დიდი ნაწილის გაცემა მოსახლეობის შემოსავლების კვლევის გარეშე ხდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, მსესხებელის გადახდისუუნარობის რისკს ზრდიდა.

სწორედ ამ საკითხის გადაჭრის მიზნით სახელმწიფომ და ცენტრალურმა ბანკმა შეიმუშავეს რიგი ცვლილებები, რომელიც მიმართული იყო, ერთის მხრივ ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობისკენ, ხოლო მეორეს მხრივ - ჯანსაღი დაკრედიტების წახალისებისკენ, რათა დაძლეულიყო ჭარბვალიანობის პრობლემა.

ნაშრომის მიზანი იყო ეროვნული ბანკის საბანკო რეგულაციების შედეგების ანალიზი. ამ მიზნით მოხდა მეორადი კვლევების და მონაცემების დამუშავება და

გაანალიზება, რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლებელი გახადა ზემოხსენებული საკითხის შესწავლა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებულმა დაკრედიტების ახალმა ჩარჩომ ფიზიკური პირებისათვის მოიტანა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. მაგალითად, მოუგვარებელი დარჩა ქარბვალთანობის საკითხი, თუმცა გამართლდა მარეგულირებლის მოლოდინები გაცემული სესხების ვალუტების თანაფარდობასთან მიმართებაში - შეზღუდვებმა სესხზე მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაში გაზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - შემცირა.

ნაშრომში ხდება ფიზიკური პირების დაკრედიტებაში ეროვნული ბანკის 2019 წლის რეგულაციების განხილვა და მათი გატარებით დამდგარი შედეგების ანალიზი. ხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლის განხილვა ქარბვალთანობის პრობლემის წარმოქმნაში; ასევე, ნაშრომი მიმოიხილავს იმ ქმედით ნაბიჯებს, რომელიც ქვეყნის მთავრობამ და ცენტრალურმა ბანკმა ამ პრობლემის მოგვარებისთვის გადაგა; განხილულია ისეთი საკითხი, როგორიცაა ქვეყანაში ლარიზაციის პრობლემის არსებობა, სხვა სახელმწიფოების გამოცდილება აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში; გარდა ამისა, ნაშრომში ხდება ფიზიკური პირების დაკრედიტების ჩარჩოს შემოღებამდე ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება შინამეურნეობების დაკრედიტების კუთხით და იგივეს აკეთებს ამავე ჩარჩოს შემოღებიდან წელიწადზე მეტი დროის გასვლის შემდეგ - საინტერესოა თუ რა შედეგი მოიტანა ახალმა შეზღუდვებმა 5 კვარტლის თავზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბანკი; საბანკო სისტემა; რეგულაციები; ეროვნული ბანკი

The banking system occupies the largest place in the economic development of the country. Well-functioning banking system leads to the establishment of a healthy and progressive economic environment in the country. In turn, the existence of a healthy banking system largely depends on central bank regulations. This is also the framework for responsible lending to individuals.

The jointly initiated changes of the National Bank and the Government of Georgia, which were included in the lending rules and legislation, aimed to solve such a substantial problem in the country as surplus. The country faced a surplus problems slowly and gradually, after the rate of lending to households had increased significantly in recent years. At the same time, the irresponsible approach of financial institutions while issuing loans has put many people on the black list of "Credit Info". One of the main reasons for this problem was the wrong attitude of commercial banks and microfinance organizations towards their borrowers - a large part of the loans were issued without surveying the income of the population, which, of course, increased the risk of insolvency of the borrower.

For solving the issue, the state and the central bank have developed a number of changes aimed to promote the stable functioning of the country's financial system and to encourage sound lending in order to overcome the problem of surplus.

The aim of the MA thesis was to analyze the results of the banking regulations of the National Bank. For this purpose, secondary studies and data were processed and analyzed, which ultimately made it possible to study the issue mentioned above.

Finally, the new lending framework initiated by the National Bank of Georgia has brought both, positive and negative results for individuals. For instance, the issue of excessive debt remained unresolved, but the regulator's expectations regarding the currency ratio of loans issued were met. Restrictions increased the demand for loans in the national currency, while in foreign currency- decreased.

The paper reviews the 2019 regulations of the National Bank on lending to individuals and analyzes the results of their implementation. The paper also reviews the effective steps taken by the government and the central bank addressing the problem and The existence of the problem of larization in the country and the experience of other goverments in solving this problem are discussed as well. In addition, The paper discusses the assessment of the situation in the country in terms of household lending before the introduction of the lending framework and new regulations for individuals that last for more than a year – it is interesting to see the result of the new restrictions over 5 quarters.

Key Words: Bank; Banking System; Regulations; National Bank